მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |

რედაქცია ღიაა (უქმეებსგარდა) დილის 10—ს. 2 ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ა დ რ ე ს ი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა., № 17.

№ 32

კვირა, 16 ივლისი 1906 წ. თბილისი

№ 32

თავს ანებებენ წევრები სახელმწიფო საბჭოსი; ვერნადსკი, ლაპპო-დანილევსკი, ეგალეი, პერელეშიმ და პიშკოვი.

**ქართული წარმოდგენა**

**ფუნიკულიორზე.**

**ვინც წარმოდგენის ბილეთს იყიდის, იმას უფასოდ აიყვანენ და ჩამოიყვანენ ფუნიკულიორით.**

ქართულ დრამატიულ დასის მიერ ახლად გამართულ სცენაზე გაიმართება

**კვირას, 16 ივლისს**

წარმოდგენილი იქნება:

**ვაის გავეყარე ვუის შევეყარე!**

მხიარ. კომ. 3 მ. გუნიას მიერ გადმოკეთებული.

მონაწილეობას ღებულობენ: **გ. აბაშიძე, ვ. გუნია, დ. ივანიძე, ... იმედაშვილი** და სხვანი.

**წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე, გათავდება 10-ზე.**

**დაუკრავს გურულების ორკესტრი.**

**ადგილების ფასი ფუნიკულიორზე ასვლა-ჩამოსვლით 40 კ-დან 1 მ. 50 კ—მდე.**

ბილეთები ამ თავითვე იყიდება 1) წერა-კითხვ. წიგნის მაღაზიაში 2) „პროგრესის" მაღაზიაში ბულვარზე და 3) გიორგი ქორქაძესთან, ...ონის ქუჩაზე, ხოლო წარმოდგენის დღეს ფუნიკულიორის კასასთან.

**საჭმელ-სასმელების ფასი ერთიორად დაკლებულია.**

წარმოდგენის გამგენი ვ. აბაშიძე და ვ. გუნია.

## რა არ უნდა ვქნათ.

ნამდვილ სოც.-დემოკრატებს ...ლეხანოვის ქარხანაში ნაწარმოებთ ...ა არა ნამდვილ სოც.-დემოკრატებს ჩერნოვის ქარხანაში ნაწარმოებთ, რომ ეტყვით ანარქისტულ ...ზრს პოლიტიკის, პარლამენტარიზმის შესახებ, მაშინ ისინი უცებ ...ოშინიდგან გაიზრდებიან საქენად, დაიჩემებენ „მეცნიერული სოციალიზმის" პროფესორობას და თქვენ ...ი უტოპისტის სახელს დაგარქმევენ. ამ გვარი დამტკიცების პროცედურა ადვილია, მხოლოდ არაფერი, მოქმედი კი არ არის. ამასთანავე გაიძახიან ერთ და იმავე ...ანგზე იმ გაკვეთილს, რომელიც ...ერ 60 წელიწადი გახდება იზეპირებენ გულმოდგინეთ, ამ მეცნიერებას ერთხელაც კი არ უცდიათ ...გესინჯათ კბილი, ჯერ გეგელის და შემდეგ მარკსისეულ ბედაურისთვის, რომ დარწმუნებულიყვნენ მის სირეგვნეში ან სიბერეში. ნუ თუ დრო, რომელიც ისევ მათი თქმით, ყველაფერს აბერებს, არ მოქმედებს მარქსის ისტორიულ ბუცეფალზე.

დაინახავენ თუ არა თავიან კრიტიკულ მდგომარეობას ყველა ეს უვიცი „მეცნიერული სოციალისტები", მოახტებიან მაშინვე „ისტორიულ აუცილებლობის" ბუცეფალს, შესკუპდებიან „კანონებზე, ტენდენციებზე„, რომლებიც მოქმედებენ და იჩენენ თავს რკინის აუცილებლობით" (მარქსი). მათი აზრით იმათ კარგათ იციან, რომ პარლამენტარული რეჟიმი არ არის სრული სოციალური ფორმა, მაგრამ მიუხედავათ ამისა ის რაც უნდა იყოს უკეთესია **არსებულ** წეს-წყობილებაზე, მისი საშვალებით ხალხს, ეძლევა საშვალება კონტროლი გაუწიოს მთავრობის მოქმედებას და ამიტომ დაასკვნიან ისინი: თქვენ ანარქისტები ხელს უწყობთ მთავრობას იმათ წინააღმდეგ, ვინც იბრძვიან ისეთ სამოთხისათვის, როგორიც კონსტიტუციაა.

სხვისი უტოპისტათ და უვიცათ დასახვა ადვილია. მაგრამ სრულებით არ არის ადვილი მეცნიერება, ამიტომ იმას მაინც უნდა ცდილობდენ ეს, უკაცრავათ „მეცნიერი სოციალისტები", რომ ლოღიკური დარჩნენ ბოლომდის და უტყუარად მიჰყვნენ ბოლომდის თავიანთ მეთაური აზრის განვითარებას. ისინი **არსებულ** წეს-წყობილებას ამჯობინებენ შემდეგს, შეიძლება შემდეგი კიდეც სჯობდეს და შეიძლება არა, მაგრამ საქმე ამაში კი არ არის არამედ იმაში, რომ როგორ ლაპარაკობენ ეს ვაჟბატონები **არსებულზე**, როდესაც მათთვის მათი დიალექტიკის ნებართვით **არ არსებობს არსებული**: მაშასადამე, თუ ყველაფერი ყოველთვის **„კიდეც არსებობს და არც არსებობს"**, როგორ და რაზე ემყარებიან ეს მეცნიერები? თუ არსებული არ არის, შემდეგი რომელიღა არის მაშინ „ერთმა ერმა უნდა ისწავლოს და შეუძლია კიდეც ისწავლოს მეორისაგან. თუნდაც რომ საზოგადოებამ მიაგნოს კვალს თავის მოძრაობის ბუნებრივ **კანონს** (ხაზი ჩვენია)—საბოლოვო მიზანს ამ თხზულებისას შეადგენდა თანამედროვე საზოგადოების მოძრაობის **ეკონომიური კანონის** აღმოჩენა,—იმას მაინც **არ შეუძლია გადაახტეს თავის განვითარების ბუნებრივ ფაზისებს** და ვერც მოიშორებს იმათ დეკრეტების საშვალებით". (მარქსი. წინასიტყვ. კაპიტ. I ტ.). მარქსმა ამ გვარად ისტორიის გზა გაიყვანა და ამ გზაზე სვეტები დაასო ზედ წარწერით: 1 ისტორიული ვერსტი, 2 ისტორიული ვერსტი, 3 ისტორიული ვერსტი და სხვა; უნდა არ უნდა, კაცობრიობამ ეს გზა ეს ვერსტები უნდა გაიაროსო. ენგელსმა შემდეგში მარქსს პატენტი მისცა ამგვარ გზის „კანონის" აღმოჩენის პირველობაში. როდესაც ისტორიას მიმართავთ უცებ მარქსის გზა იშლება და რამოდენიც გინდა ეძიოთ ისტორიულ „კანონს" ვერ ჰპოულობთ.

როდესაც მსოფლიოს ისტორიას თვალს გადაავლებთ, დაინახავთ, რომ მსოფლიო მოვლენათა ურიცხვობის დაუბოლოვებელობის და ჩვენ შემოფარგლულ ცოდნის შორის არსებობს აუცილებელი შეუფერებლობა. სინამდვილე წინააღმდეგია იმ სურათის, რომელშიდაც ჩვენ ვხატავთ და ვსახავთ ამ სინამდვილეს, თავის სისრულით ხელოვნურათ ყოველთვის დაბლა სდგას ბუნებრივზე კოპია სავსებით ვერ გადმოგვცემს ორიგინალის თვისებას მუდმივ სიდიდეს ზედ ერთვის ცვალებადი სიდიდე. თუმცაღა მეცნიერებაში დაახლოვებით შესაძლო გახდა გაერთიანება ერთ ფუნქციაში ფიზიკურ ცდათა უთანხმოება მათემათიკურ ანგარიშთან, მაგრამ ცვალებად სიდიდეთა სწორი განსაზღვრა ისევ ისე დარჩა და დარჩება კიდეც მიუწვდომელი.

სანამ ჩვენ მივიმჩნევთ **გარემოებითი** პროცესებს ხალხების ცხოვრებაში ტიპებათ „კანონებათ", რომლებიც სავალდებულო არიან ყველა შემთხვევაში, როგორც „რკინის აუცილებლობა", მანამ და უფრო ადრე ჩვენ უნდა ვიცოდეთ მუდმივ ფაქტორებთან ერთად ურიცხვი, **დაუსრულებელი სერია ცვალებად ფაქტორებისა.** დღემდი არავითარ ისტორიულ ლიტერატურაში არ აღნიშნულა კაცობრიობის განვითარების „კანონი". იქნება კი შესაძლებელი, როდისმე შესაძლებელი საზოგადოებრივი განვითარების „კანონის" აღმოჩენა? ამისთვის საჭიროა ერთიანი მასსობრივი კვლევა და სტატისტიკა, რომლის დროსაც ცხოვრება უნდა გაჩერდეს და იცდიდეს, სანამ ესე კვლავ და სტატისტიკური ანგარიში არ დასრულდება—დრო უნდა გაჩერდეს, სივრცე უნდა გაიყინოს, ეს კი შეუძლებელია. მაშასადამე სულ არ არის მეცნიერული ისეთი მოსაზრება, რომლითაც ეს თუ ის მოვლენა უნდა აუცილებლად მოხდეს. აუცილებლობის მოძღვრება გაჩერებაა გაუჩერებელი მოძრაობის. ის მოძრაობის უარის ყოფაა.

ყველა ეს არაფერია კიდევ, მხოლოდ სოციარია აზროვნების ფლანგვა — გარყვნილება — რომლითაც ჩვენ ვითომ მთავრობას ხელს უწყობთ ჩვენი ანტიპარლამენტარიზმით. ამ გვარი მსჯელობა ან ჩვენი თეორიების სრული უვიცობაა ან განგებ თავის მოყრუება ორივე შემთხვევაში სამარცხვინოა „მეცნიერულ სოციალიზმის" პროფესორებისთვის. ყველამ, ვინც ყურს უგდებს სულ ცოტათი მაინც ანარქისტულ მოძღვრებას, უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ყველა სახელმწიფოებრივი ფორმის წინააღმდეგი ვართ, ჩვენთვის თავისუფლების განხორცილების მიუცილებელ პირობით ითვლება ყოველ გვარ სახელმწიფოებრივ ფორმის დანგრევა. ვინც მთელს ანგრევს ის უარჰყოფს. ის მთელის ნაწილებსაც ანგრევს და უარყოფს.

როდესაც სოც-დემოკრატული დოგმატიური უვიცობის გუდას ფეხს მაგრათ დააჭერთ, მაშინ მოჰყვებიან კიდევ უარეს „მამაო ჩვენოს". მათი აზრით პარლამენტი საშვალებაა უფლობის პოლიტიკური ძალის ხელში ჩასაგდებათ. „მაშინ (ე. ი როდესაც რუსეთში დაარსდება რესპუბლიკა) აღარ იქნება საჭირო ბრძოლა ცენტრალისტური ბურჟუაზიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, არამედ საჭირო იქნება უფლების (**власти**) ხელში ჩაგ-

„დღეის მიცადინეობა." აი ჩხრიკნიდა ისკრა იმ სტატიაში, რომელიც დაუმიზნია „პირველ კონფერენციის ქართული რევოლ. ჯგუფისას."

რას ნიშნავს ეს?

რას და იმას, რომ თუ კონსტიტუციას მოესწრო სოციალდემოკრატია, მაშინ ხელიდან ხმალს გააგდებს და წვრილ, ლამაზ „ტროსტს" დაიჭერს ხელში, რომ მთავრობის წინააღმდეგ ტერორს შესცვლის პარლამენტის მიმართ ამურად, სიყვარულად, ქუჩაში ხეტიალს „ბროუნინგით" ხელში შესწყვეტს და დარბაისლურად წამოიჭიმება პარლამენტის სკამზე, რომ ხეზე კი აღარ გავა და დაუწყებს ხალხს პროპაგანდას არ მედ პარლამენტის ტრიბუნაზე, რომ ბარიკადებს კი აღარ დადაუწყებს კეთებას სახელმწიფოის ბნელი რეაქციონური ძალების შესაჩერებლად, არამედ დაჩაგრულ ხალხის რევოლიუციონურ მსვლელობას გადაუღობავს გზას პარლამენტით, ამ რევოლიუციის შესაჩერებელ ბარიკადით. აი რას ნიშნავს მათი „მეცნიერება" და ჩვენი უტოპისტობა.

მართლა რომ ზოგიერთ შემთხვევაში წინ წასული ერი უჩვენებს უკან ჩამორჩენილს სურათ თავისთავის განვითარებისას. რა მნიშვნელობა ექნება სოციალიზმის ისტორიაში სოციალისტების (?) მიერ მონაწილეობის მიღებას პარლამენტარულ გარყვნილებაში?

რა და ის რომ „უფლების ხელში ჩაგდება" ნიშნავს პრესსის და ანარქისტების წინააღმდეგ განსაკუთრებული კანონების კენჭის ყრას; 1893 წელს 11 და 15 დეკემბერს საფრანგეთში კენჭის ყრით გაიყვანეს ანარქისტების წინააღმდეგ მიმართული კანონები, რომლის კენჭის ყრაში ბევრმა სოც. დემოკრატმა არ მიიღო მონაწილეობა, მაგრამ შემდეგ, როდესაც ლეონ ბურჟუას სამინისტრომ უარი სთქვა (1895 წ). ამ კანონების გაუქმებაზე, მაშინ სოც.-დემოკრატებმა ნდობა გამოუცხადეს სამინისტროს და ამგვარად იმ „კანონებს," რომლებიც თვით საფრანგეთის მუშა ხალხმა მონათლა „ფლიდი კანონების" სახელით. „უფლების ხელში ჩაგდებისთვ-ს" მოღვაწეობა კიდევ უარესსაც ნიშნავს; ის ნიშნავს ნდობის გამოცხადებას იმ „პატრონსანთა" მიმართ, რომლებიც შეუბრალებელი სიმხეცით ახვრეტინებენ მუშებს.

J. La Flamme.

---

## რატომ ვართ ანარქისტები.

(პური და თავისუფლებიდან).

1) იმიტომ რომ, საზოგადოების ცხოვრებასთან მიკედლებული ის პრინციპი, რომელსაც ჩვენ ვხვდებით ქვეყნად, ე. ი. განუწყვეტელი, დაუბოლოვებელი და ყოველმხრივი სხვადასხვაობა, ვხედავთ, რომ მარტო ფილოსოფიური შეხედულება (міровозрѣніе) ანარქიზმისა არ ეწინააღმდეგება ამ პრინციპს და აშკარავებს ჩვენ წინაშე ფართო გარნიზონებს საზოგადოების გარმონიულ განვითარებისას და მის მომავალ მოძრაობისას.

2) ჩვენ ვიცით, რომ ყველა მეცნიერების განუწყვეტელ განვითარებაში, მათ შორის საზოგადოებასაც, უნდა დადგეს ისეთი დრო, როდესაც ჩვენი იდეალი საზოგადო ცხოვრებისა — ანარქია, როგორც ჩვენ გვესმის ეხლა, არ დააკმაყოფილებს კაცობრიობის მოთხოვნებს, მაგრამ ამავე დროს ჩვენ დარწმუნებულნი ვართ იმაში, რომ, აწმყო დროში მუშაობა სავსებით პიროვნების ბედნიერების მისაღწევად, დახმარება თავისუფალ ინიციატივის და ყველა სოლიდარობის ძალის განსამტკიცებლად, ჩვენ, სხვისთვის უდანაკლისოდ, არ ვითვალისწინებთ კითხვებზე და ეჭვებზე მეცნიერულ პასუხებს, რომელთაც ჩვენ შეგვიძლიან შევხვდეთ ჩვენივე გზაზე, ეხლა-კი, ე. ი. აწმყო დროში, ვემხრობით საზოგადოების მოძრაობის წინსვლას.

3) საზოგადოებრივი მეცნიერები, როგორც სხვები, ხმას აი იღებენ და არც განუწყვეტელ მოძრაობის წინ ამოიღებენ ხმას ეხლანდელ და მერმინდელ დანიშნულ კითხვებზე, მაგრამ, რომელიმე მიმართულების აღნიშვნის შემდეგ, იმუშავებენ და მის განმარტებას ეცდებიან; ამასთანავე იმ მუშაობაში იღებენ მონაწილეობას არა მარტო სპეციალისტები, საქმის მცოდნენი, არამედ ყველა უბრალო მომაკვდავნიც კი. ამიტომ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნდა, დროს დაუკითხავათ, მუშაობა ეხლავე და არა მაშინ, როდესაც არიქნებიან საკამათო კითხვები და ან სხვა რაიმე შემაფერხებელი მიზეზები.

4). იმიტომ რომ ანარქიზმი მოითხოვს თითოეულ პირისთვის სავსებით ბედნიერებას, მაშასადამე ყველას სავსებით ბედნიერებას, და უმთავრესი, არ ჰბადებს ისეთს მდგომარეობას, რომელითაც ერთი ვინმე დაიჩაგრება, რადგან ხალხის ერთი ერთმანეთთან საზოგადო დამოკიდებულების დროს, უბედურების მიზეზებს შენიშნავდით მხოლოდ საზოგადოების უვარგისობაში.

5). იმიტომ რომ ანარქიზმი, რომელიც პიროვნებას ადიდებს და რომელიც მასში ჰპოებს ნამდვილს უფლებას ბედნიერებისას, იწვევს იმითვე ყველა ძალებს ბუნებით შთანერგულ საქმიანობისაკენ.

6). ჩვენ ვგონებთ, რომ საზოგადოების უსახელმწიფოებრივო კომუნიზმის საფუძველზე დამკვიდრების დროს, ყველა ძალების განვითარება თითოეულ პიროვნებისა არა თუ ხელს შეუშლის სხვებს, არამედ მიაღწევინებს უფრო უუმაღლეს და უუდიდეს ხალხის ბედნიერებას.

7) ჩვენ ვგრძნობთ, რომ აქნობამდე არც ერთი მეცნიერება არა თუ ეწინააღმდეგება ჩვენი მისწრაფების მიღწევის შეძლებლობას, არამედ ამტკიცებს კიდეც ჩვენ მისწრაფების განხორციელებას.

8). ჩვენ უარვყოფთ აუცილებლობას ისეთ საზოგადო წყობილებისას სადაც ერთი ნაწილი ხალხისა, რაღათაც, (почему то) რამეს, თავს აღიმაღლებს და თავის თავს ბედნიერად ჩასთვლის, რომლის დროს ერთი ერთმანეთს ციხეებში სვავენ და ალპობენ. საზოგადოთ, ჩვენის შეხედულებით, არ შეიძლება იყოს ბედნიერება ისეთ საზოგადოებაში, სადაც ვისთვისმე, რისთვისაც უნდა იყოს, უპირატესობა იქნება დათმობილი. ჩვენ კიდევაც ვამბობთ, რომ ამისთანა პირობების დროს ერთად ცხოვრება ყვე-

---

# ფელეტონი

## რევოლიუციათა ისტორიიდან.

(გაგრძელება *).

რანაირი მოვლენა ხდება მაშინ, როდესაც ხალხის წარმომადგენელთა კრება სდგება. ანარქისტებისაგან მრავალ ჯერ დამტკიცებულია და ჩვენ აღარ გავიმეორებთ მას, თუ რანაირი პოლიტიკური აბსურდია ის საშუალება, რომელსაც არჩევნები ჰქვიან, და რომელიც ვითომდა გამომხატველია საზოგადოების სოციალურ მდგომარეობისა. ბურჟუაზიული ხრიკები სრულს უნიჭობას აქ განიცდიან! დაარქვით მას თქვენ რაც გინდათ, გინდ საყოველთაო არჩევანი, გინდ რეფერენდუმი, ჩვენ ძალიან კარგა გვესმის რასა ჰქვიან ეს საყოველთაო არჩევანი, რომელიც ულოღიკო ჯარასავით წაღმაც ტრიალებს და უკუღმაც, მაგრამ მშრომელს ხალხს კი ნუ მოატყუილებთ, რომ მათი ინტერესები წარდგენილ იქნებიან იქ—სადაც ჯერ არს. ას წელიწადზედ მეტია, პარლამენტარიზმი არსებობს და ამ ხნის განმავლობაში ბევრი ტაქტიკა შესცვალა მან. დაუჯერებელია ის ფაქტი, რომ მწარმოებელთა მასსა, რომელიც საზოგადოების $^9/_{10}$-ს შეადგენს შეუდარებელის სიმცირით არის ჯერაც წარდგენილი, იმ დროს როდესაც პარლამენტის 9 მეათედი ლორდებისგან, მღვდლებისგან და ადვოკატებისაგან შესდგება, რომელნიც რეაქციის ცეცხლს წარმოუვლინებენ ხოლმე მშიერ-მწყურვალ ხალხს. თუ მან ერთი დღის თავისუფლად ცხოვრება მაინც განიზრახა. გვიპასუხონ იმ სოციალისტებმა, რომელთა აზრითაც საყოველთაო არჩევანი პანაცეაა, რომელიც გამკურნავს კაცობრიობას, სად ხდება ის რომ მათ გერმანიის პარლამენტში მარტო ოთხმოცი დეპუტატი ჰყავთ, როდესაც მშიერ-მწყურვალთა მასსა 9 მეათედია გერმანიისა დეპუტატთა რიცხვი კი ხუთასზედ მეტი. მაგრამ ისინი ამაზედ ვერას იტყვიან, რადგან „საყოველთაო არჩევნების უფლება" ისეთი სფინქსია, რომელიც ბევრ „მეწვრიმალე" სოციალისტს შეგზავნის პარლამენტში და ეს მაჯლაჯუნა არჩევნების უფლება, რომელიც პროლეტარიატს განსაცდელში აგდებს ისევ ამოცანად დარჩება. ასეთი უნიჭო პარლამენტარიზმი საზოგადოთ და ტყუილად არ ეძახიან სოციალისტების მასში ცოდვილობას პარლამენტარულ კრეტინიზმს, რომელნიც სოციალიზმის განხორციელებას დეპუტატების სავარძლებზე სთვლიან.

მაგრამ უარესი კრეტინიზმი და ღალატი რევოლიუციისა ის არის, როდესაც რევოლიუცია ქუჩიდან პარლამენტში გადააქვთ. მაშინ რეაქცია თუმცა მძულვარებს, მაგრამ გული კი დამშვიდებული აქვს, რადგან გამოცდილებით იცის რითი თავდება ასე ადგილის შეცვლა.

რას შვრება ეს ახალი ჯგუფი, რომელსაც ხალხის წარმომადგენელთ ვუწოდებთ და რომელიც რევოლიუციის სოციალურ კერად ითვლება ეხლა? მაგალითისათვის რომ „გოსუდარსტვენი დუმა" ავიღოთ ჩვენ დავინახავთ რა მოგვერდი უგდო მან რევოლიუციას. პირველი მისი მოქმედება იმპერატორის ავტორიტეტს აღდგენა იყო, რომელიც სულ უარყოფილი იყო რევოლიუციისაგან. დეპუტატებმა მის პრეროგოტივებზედ დაიწყეს ლაპარაკი. იდეა სახელმწიფოსი, რომელიც აქამდი განადგურებული იყო, ხელმძღვანელ არგუმენტათ იქმნა აღიარებული და ამ რიგათ უარყოფილი ის რასაც შესწირა ხალხმა თავისი სიცოცხლე. სწორეთ ამ საარჩევნო უფლების ძალით სათათბიროში შევიდა ისეთი ელემენტი, რომელიც შეურიგებელი მტერია რევოლიუციისა. ეს ესეც უნდა მომხდარიყო, რადგან „დუმა" მათთვის იყო დაარსებული და პირველის დანიშნულება კი მასში მდგომარეობდა, რომ ისეთი რამ გამოეგონა მას, რომელიც გარეგნობას შეუცვლიდა სახელმწიფოს და კაპიტალიზმს და მერე წელში გასწორებული რევოლიუციონურ ნაწილს კაცობრიობის გაჩენის დღეს აწყვლინებდა უფრო მეტის სისასტიკით, მეტის ავაზაკობით რადგანაც ბურჟუაზია და ექსპლოტატორთა კლასი უფრო მეტ უფლებებს აძლევს რევოლიუციონურ მთავრობას, რომ სრულიად ჩაჰკლას თვით აჩრდილი რევოლიუციისა, რომ ამისთანა საშინელება აღარ მოივლინოს მ. სამათ გამოაცხადეს მისი სისულელე და ყველანაირად ეცდებიან აღარ გამეორდეს იგი.

აქედან იწყება რეაქცია ასევე იყო საფრანგეთის რევოლიუციის

*) იხილე «მუშა» № 31.

ლისათვის უვარგისი იქნება, რადგან ამგვარი საზოგადო წყობილება [illegible] მხარს უჭერს და აძლიერებს ხალხთა შორის დისგარმონიას (უთანხმოებას)..

ჟან მარატ.

---

**განსვენებულ კოწია ქუთათელაძის სახსოვრად *).**

მას აქეთ რაც მრავალტანჯულმა მშრომელმა ხალხმა მაღლა აღმართა წითელი მებრძოლ მუშათა დროშა,—და გმირულად დაიძახა „ან სიკვდილი, ანხალხს გამარჯვებაო“,—ბევრი ძლიერ ბევრი შეუპოვარი მებრძოლი გამოაკლდა რევოლუციონურ არმიას, ბევრი დაიხოცნენ გმირები: ბევრი დავკარგეთ საუკეთესო ამხანაგები და წითლათ შეიღება თვალუწვდენელ რუსეთის ქალაქების, სოფლების ქუჩები თავგანწირულ რევოლუციონერთა სისხლით მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა კიდევ არ გვაკმარა ამდენი მსხვერპლები, კიდევ გამოგლიჯა ხელიდან საუკეთესო მუშაკი, შეუპოვარი მებრძოლი დაუვიწყარი ამხანაგი კოწია..

კოწია იყო ნამდვილი სოციალისტი, მას სწამდა, რომ მხოლოდ სოციალიზმის დროს წამებული, ტანჯული მშრომელი ხალხი თავისუფლად ამოისუნთქავს, განთავისუფლდება იმ მძიმე უღლიდგან, რომელიც აი ფეხთიან ლოდივით მაგრად აწევს ხოლმე კისერზე და მოსვენებას არ აძლევს, მას სწამდა რომ მხოლოდ იმ დროისთვის დაიმსხვრევა საზიზღარი მონობის ბორკილები მოისპობა უსამართლობა, უვლეფა გაუქლეფა, კაცთ ჭამაობა... კოწია იყო მასთან ნამდვილი რევოლუციონერიც. ის გაიძახოდა: არა პარლამენტის ტრიბუნაზე მჭევრმეტყველურ სიტყვების წარმოთქმით მშრომელ ხალხს შეუძლია მოიპოვოს ის, რაც მას უნდა, არა! მან იარაღით ხელში უნდა შეებრძოლოს თავის მოსისხლე მტერს, რომელიც როგორც წურბელა ჩაბღაუჭებია და დესპოტიურად სისხლსა სწოვს, სულს ახრობს, სუნთქვას უხუთავს. - იარაღით ხელში, ქუჩურ ბრძოლაში მხოლოდ ბრძოლაშით, გაიძახოდა განსვენებული. მშრომელ ხალხს შეუძლია მოიპოვოს თავისუფლებანით..

დიახ! მთელი მისი არსება წმინდებით იყო გაჟღენთილი; ის იყო ნამდვილი მებრძოლი თავისუფლებისათვის, ბეჩავ ხალხისათვის თავდადებული, და მისმა სიკვდილმა თავზარი დაგვცა ჩვენ მის ამხანაგებს, გული ჩაგვითუთქ... დაიხოცნენ გმირები, დავკარგეთ ამხანაგები... მაგრამ ტირილი მაინც არ გვმართებს ასლა, ტარაღა და გლოვა მერე! მერე დავღვაროთ ცრემლები დახოცილ გმირებთა დაკარგულ ამხანაგებთა მოსაგონებლად, ახლა კი ბრძოლაა საჭირო, ბრძოლა შეუპოვარი იმ დიდებულ საქმისათვის, რომლის განხორციელებაშა თავი შესწირეს გმირებმა, რომელსაც განსვენებული მეტად ეტრფოდა და რომლისკენაც მიისწრაფვის უოველი თვალ ახილულია გონიერი ადამიანი ..

ბრძოლა თავ — განწირული რომ მალე გავიმარჯვოთ, მალე გავაგონოთ ჩვენ ამხანაგებს, მალე დავძახოთ მათ სასაფლავზე „დღეამ გაიმარჯვა-თქო... ბრძოლა, და თუ საქმე მოითხოვს სიკვდილი კიდეც: ამას გვავალებენ ჩვენ დახოცილი ამხანაგები. მაშ, ბრძოლა მედგარი, შეუპოვარი, შეიარაღება სრული! გაუმარჯოს რევოლუციას.

რევოლუცია ზრდის რევოლუციონერებს, რევოლუცია მეტად ათვითცნობიერებს ხალხს, რევოლუცია თვითონ არკვევს მიზანს, რევოლუცია იზრდება რევოლუციის შემწეობით, რევოლუცია ფართოვდება, რევოლუცია ღრმად იკიდებს ფესვს... იზრდება სარევოლუციო ჯარი, მატულობს მებრძოლი ლაშკარი...

არ რჩება არც ერთი კუთხე რევოლუციის გარეშე.

განმათავისუფლებელ მოძრაობის სხივებმა შეაშუქა კაზარმებშიც კი და იქაც ნათელი მოფინა. ჯარმა შეიგნო, რომ ის ღვიძლი შვილია მშრომელ ხალხისა, რომ ის მისი სისხლი და ხორცია.. ჯარი ღელავს, ხალხი ბობოქრობს. ძველი დახავსებული რეჟიმის ოდესღაც ბრწყინვალე სხივები დღეს სრულიად ქრება. თავისუფლების დროშა კი თანდათან მაღლა იწევს, უფრო სიმძლავრით მკვიდრდება და ბრწყინდება თავისუფლების დევიზი, რომელზედაც როგორც ურყევ საძირკველზე მიელი კაცობრიობის მომავალი ბედნიერება უნდა აშენდეს. თავისუფლება განურჩევლად! გაისმა ხმა და ამ დიდებულმა ხმამ მთელის დედამიწის ზურგი შეარყია! სწყდება ჯაჭვი, რომლითაც ადამიანის უფლება მიჯაჭვულია და დღეს მონათა ბორკილების აღდგრა გლოვას-ზარსავით მტარვალს თავს-ზირსასცემს!.... მაგრამ დრო მიხვდეს გამხეცებული მთავრობამ, რომ ძალით— ბარბაროსული ძალით— ვერაფერს გახდება.

ვერავითარი აღიხანოვი-ზაკომელსკი-რენენკამფების ვერც ათხრება-აწიოკებამ, ვერც მოთრახებმა, ვერც დახვრეტამ ვერ შეაჩერეს ხალხის გაღვიძებული გონება.

ხალხმა შეიგნო რომ მისი განთავისუფლება უნდა მოხდეს მისივე კურთხეული მარჯვენის შემწეობით, შეიგნო და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა თავის მოსისხლე მტრებს, საზოგადოების სულთამხუთავებს... და არ დაცხრება მანამდის, სანამ არ დამოხვრეს სამარცხვინო და მასთან საზიზღარ მონობის ბორკილებს, სანამ არ განთავისუფლდება „პარაზიტების“ პრჭყალებისაგან... ამ გვარად ახლოვდება დრო, ის სანეტარო დრო, როდესაც რევოლუციამ უნდა იფეთქოს, იგრიალოს, გაიტანოს და შთანთქას ყველაფერი ის, რაც აუტანელი მძიმე უღლად აწევს ხოლმე მშრომელ ხალხს კისერზე

მაშ კიდევ გაუმარჯოს რევოლუციას რომელზედაც განსვენებული კოწია განუსაზღვრელ იმედს ამყარებდა!

ძირს. მტარვალები!

გაუმარჯოს მშრომელ ხალხს და მის კურთხეულ მარჯვენას!

ვასიკო დონის-პირელი.

*) კოწია იყო რაზმელი და წევრი ხონის ს.-ფედერალისტების ორგანიზაციისა.

---

# ახალი ამბავი

ფოჩტით მიიღო „კასპი“-ის რედაქციამ, ბაქოს ანარქისტთა ჯგუფის მიერ შემდეგი შინაარსის წერილი: ვთხოვთ გაზეთ „კასპის რედაქციას დაბეჭდოს შემდეგი ჩვენი განცხადება: თუ რომელიმე ადვილოპრივი შანტაჟისტი, რომელიც ეხლა ძალიან ბევრია ბაქოში, გაბედავს ჩვენი სახელით და მიმართავს ბაქოს პარაზიტებს ფულის სათხოვნელად და სხვა: ჩვენ მაგ უზურპატორებს დავიჭერთ და ისინი დასჯილ იქმნებიბიან სიკვდილით უეჭველად. ეს იცოდნენ ყველა შანტაჟისტებმა. ფედერაცია ბაქოს ანარქისტ-კომმუნისტებისა „ანარქია“.

— ჩვენ ჩაგვივარდა ხელში, ხელით ნაწერი ბარათი ვაჭარის კაფიევის სახელზე. წერილში ვიღაც უცნობი პირები ანარქისტების სახელით სთხოვენ ფულს, დანიშნულს ალაგას მიტანას. ამით ვაცხადებთ რომ ჩვენთან ასეთს პირებს არავითარი კავშირი არა აქვთ. ამასთანავე ვაბრთხილებთ ასეთს ვაჟბატონებს, რომელნიც ჩვენი სახელით სარგებლობენ თავის მიზნებისათვის, გაანებონ თავი ასეთს საქციელს თავი, თორემ მათ წინააღმდეგ მივიღებთ უკიდურეს ზომებს.

— 14 ივლისს ღამით, მიხეილის ქუჩაზე ვიღაც უცნობებს გაუქურდავთ თოფურიას და გაბუნიას მაღაზია: როგორც გვითხრეს 300 მანეთის ჩაი წაუღიათ და რამოდენიმე მანეთიც ფულათ.

— 14 ივლისს ღამე დაკეტეს გაზეთი „სიმართლე“. სტამბა დაუბეჭდავთ.

— იმავე დღეს შეაჩერეს რუსული გაზეთი „დნი“.

— როგორც შუშიდან „თბილისის ფურცელს“ სწერენ იქ ჯარებს უკ-

---

დროს. ყველასათვის ცხადია ეხლა, თუ ყველა ის დაწესებულებანი, რომელთა დანიშნულება ქვეყნის მოწყობა იყო, აზრის ნაირ პროსტიტუციამდე მიდიოდენ და, როგორ იხევდენ უკან რევოლუციის ინტერესები იმ დროს, როცა წინ ლოლოტი და ვისიმე პატივმოყვარეობა იდგა.

როდესაც საფრანგეთში ჟირონდისტები იყვნენ გაბატონებულნი, მაშინ ხალხის ნამდვილი მეგობარი მარატი სარდაფში სწერდა თავის ფურცლებს და ყოველი მისი ნაბიჯი გილიოტინად იყო დაფარებული. ჟირონდისტების ფანატიზმმა აკი კიდეც მოკლა მარატი, როდესაც თითონაც დაღუპულნი იყვნენ. ჯალათმა სოლომონმა პარიზელებს დანტონის თავიც ზედ მიაყოლა მაგრამ გილიოტინა ჩვეული იყო მაშინ ხალხის მეგობართა და მტერთა თავების ალერსს. ცოფიანი რობესპიერი, რომელიც რევოლუციის დიდებას მარტო გილიოტინაში ხედავდა, ბოლოვებ აშლილ ოცნებაში იმ სიმტუტუცემდის მივიდა, რომ როდესაც საფრანგეთის ხალხი უარყოფდა ყველანაირ კერპს, როდესაც თვით ღმერთის პირადი მტერი ხალხიც კი დაიარებოდა პარიჟის ქუჩებზედ — თავის ღვთაებად აღიარება მოინდომა, და თუ პატარა კორსიკანელი, რომელიც როიალისტებს სწერდა: „დამენახვენით რომ თავის ლტეში აღარ გამჩნდეთო!“ მომავალში იმპერატორათ გადიქცა საფრანგეთის ხალხს, ადვილათ შესაძლებელია, რობესპიერის პირში ბუქი რომ არა მოსდებოდა რევოლუციის დროს ამ გარყვნილებას ჩაიდენდა რაც მან უკვე დაამტკიცა პარიზის მოედანზედ გამართულ დღესასწაულზედ აი ასე დაემართა რევოლუციას, როდესაც იგი თავი ნამდვილ კვალს ასცდა და ისტორიულ მატყუარების ხელში გადავიდა მისი ბედი.

რუსეთში? საჭირო არ არის ეხლავე ვსთქვათ რითი გათავდება სათათბიროს მოქმედება. ისტორიამ ბევრი რამ გვასწავლა, რომელიც ადამიანის ცხოვრებაში ერთნაირივე სისწრაფით მოხდება, თუ ისტორიის შეცდომები გამეორდებიან. ჩვენ არ ვიწინასწარმეტყველებთ და სალერლელს არ აუშლით მათ, ვინც სინანულის ცრემლებს ღვრიან იმისთვის, რომ სათათბიროში პარტიული ამხანაგები ნაკლებად მოხვდენ. აღსანიშნავად და ჩვენი აზრის დასამტკიცებლად, მარტო ისიც კმარა, თუ რანაირ შეილახა რევოლუცია, რანაირ გაირყვნა იგი, რანაირად ჩამოიყვანეს ხალხის მაქსიმალური მოთხოვნილებანი მინიმუმამდე, იმ ხალხმა, რომელთაც ნამდვილი სახელი ხალხის მუდმივი მატყუარაა. დავიწყოთ იქიდან, რომ რამ წამსვე შესდგა სათათბირო მან რევოლუციასაც და რეაქციასაც ამცნო რომ იმ ჟამად რევოლუცია დამოკიდებულია სათათბიროს მწყობრ მოქმედებაზედ, რომელიც შეიმუშავებს კონსტიტუციასო.

ისტორია კვლავ გამეორდა და კიდევ დასცინა კაცობრიობას ბოროტმა სულმა, რომელსაც იგივე კონსტიტუცია ჰქვია.

შ. ა.

(დასასრული იქნება).

ვე აღუდგენია წესიერება, სომეხ-თათართა სისხლის ღერით გამოწვეული. მოკლულნი ყოფილან 1 თათარი, დაჭრილი 2 თათარი 2 ბ სომეხი.

— როგორც გადმოქვეცემს ადგილობრივს პატრიოტებს ნამესტნიკისათვის ფთხოვნიათ იარაღი იმ აზრებით რომ არეულება არის მოსალოდნელიო. ნამესტნიკს მათი თხოვნა არ შეუწყნარებია. მხოლოთ დაუმშვიდებია, რომ არავითარი არეულება არ მოხდებაო.

როგორც სოფელი ქარელიდან გვატყობინებენ იქ მოუკლავთ ადგილობრივი მწერალი ი. მაჩაბელი მაჩაბელი მკვლელებს საშინლად დაუხიჩრებიათ. მკვლელობის მიზეზათ ასახელებენ მაჩაბლის ცუდათ ქცევას გლეხებთან.

— ივლის საათის 11 ზე. მიხეილის ქუჩის ბოლოს 12 შეიარაღებული კაცი თავს დაესხენ თბილისის ტამოჟნის ხაზინადარს, რომელსაც 20000 მანეთი მიქონდა. თავდამსხმელებმა დასჭრეს ერთი ხაზინადარის მხლებელთაგანი, მაგრამ ფული ვერ უპოვეს ხაზინადარს, და მალე იძულებული შეიქნენ ხელცარიელი მიმალულიყვნენ.

— 15 ივლისს თბილისიდან მიემგზავრება შუშაში მე III მსროლელი ბატალიონი, რომელიც საჩქაროთ გაწვევულია სომეხ-თათართა შეტაკების მოსასპობლათ.

— თათარი ყასბები კვლავ სთხოვენ ქალაქის თავს, რომ მან ნება დართოს მე VI უბანში ააშენონ საყასბო. ამასთანავე თათრები პირდებიან გამგეობას, რომ დაწესებულს გადასახადს გადიხდიან და მხოლოდ წვრილფეხს საქონელს დაკლავენ.

საყასბოს აშენებამდე კი სთხოვენ ქალაქს, რომ საქონელის დაკვლის ნებას ნუ აუკრძალავენ, სადაც დღემდი კლავდენ.

— 15 ივლისს, „პოგრომების“ შიშით ქალაქის გადამწერლებმა და და სანიტარულ ბარათების შემდგენლებმა მუშაობა შესწყვიტეს. აგრეთვე გადადვეს შაბათის ფულის დარიგება ორშაბათამდი, რადგან ქალაქის თავს შიში ჰქონდა რამოდენიმე ასი მომუშავის ერთად თავი მოყრის დროს არაფერი უბედურება მოხდესო.

# რუსეთი

„სტრანა“ იუწყება, ყოფილი გამგე პოლიციის დეპარტამენტის ფარული სტამბისა როტმისტრი კომისაროვი, დანიშნულ იქმნება ჟანდარმთა მართველობაში, რომელიმე ციმბირის რკინის გზებზედ.

—

სამხედრო სამინისტრომ მიიღო სხვა და სხვა ადგილობრივ შტაბებიდგან, რომ ჯარში მღელვარების მთავარი მიზეზია, ეკონომიური პირობები. ამის გულისათვის მზადდება მოხსენება პეტერგოფისათვის, და მერე გამოქვეყნებული იქმნება. (რუსკაია ვედომოსტ).

—

3 საათზე დღე, 7 ივლის მთელი ქუჩა, სადაც მდებარეობს რედაქცია და სტამბა „მისლ“-ისა იყო გარს შემორტყმული პოლიციელებით, ჟანდარმებით და დრაგუნებით. რედაქცია გაჩხრიკეს. ყველა თანამშრომელიც გაჩხრიკეს, დაატუსაღეს, და გაგზავნეს ციხეში რედაქტორი გაზეთისა სახელმწიფო სათათბიროს წევრი სოლომკოც კი გაჩხრიკეს. პოლიცია რედაქციაში შემომსვლელ უშვებდა, მხოლოდ უკან კი არავის არ უშვებდნენ. რედაქციასთან შეიკრიბა მრავლად ხალხი, რომელიც ცდილობდა რომ გაენთავისუფლებინა ერთი შეპყრობილი, მაგრამ თვითონ უარი განაცხადა, რომ არაფერი უბედურება არ დატრიალებულიყო. (რეჩ)

—

პოლიციის დეპარტამენტმა ცირკულიარით შეატყობინა თავის აგენტებს კავკასიაში, რომ დაუყოვნებლივ თვალ ყური ადევნონ, რომელიც არსებობს დიდხან ქალაქებში კავკასიაში, სარევოლიუციო ორგანიზაციები „გამწყვეტი რაზმი“. მიზანია ამ რაზმის პოლიციელების, დარაჯების გაწყვეტა და ადმინისტრაციის წვრილი მოხელეებისა. დეპარტამენტის ცნობით, თურმე ეგ რაზმები კარგ განწყობილებაში არიან ადგილობრივ მკვიდრთა შორის (რეფორმა)

—

შინაგან საქმეთა სამინისტროში, აღძრულია საკითხი, რომ სამინისტრომ შეიძინოს სამხედრო ავტომობილები. (რეფორმა.)

—

უწმინდეს სინოდმა მიიღო ცნობა, რომ „კრამოლა“-მ მიაღწია სოლოვეცის მონასტერშიაც კი. პოლიტიკური გადასახლებულნი სოფელ კემში (არხანგელის გუბერნია) რომელიც მდებარეობს 30 ვერსტზე მონასტრიდგან, მიდიან მონასტერშიო და მართავენ მიტინგებს, რომელშიაც ბერებიც იღებენ მონაწილეობას. მოხუცმა ბერებმა ახალ-გაზრდა ბერები დააპატიმრეს; მაგრამ მოუვიდათ დიდი უსიამოვნება და იძულებულნი იყვნენ გაენთავისუფლებინათ. (ნ. ჟიზნ).

# უცხოეთი.

ამერიკის სენატმა მოიწონა ბილლი, უკვე დამტკიცებული პალატის წარმომადგენლების მიერ. ბილლი, რომელიც ხელს შეუწყობს ახლო მომავალში შეერთებულ შტატების, ალიასკის, ჰავაის და პორტორიკოს ტერრიტორიაზე კანონს გადასახლების გამო, რომელიც საკუთრად შეეხება მხოლოდ ანარქისტებს.

ამ კანონის ძალით ქვეშევრდომათ მიღებაზედ უარს ეუბნებიან ყოველ ადამიანს რომელიც წინააღუდგებ ნაციონალურ დაწესებულებას, თუ მიემხრობა ორგანიზაციას, რომელიც აღიარებს ამ დოკტრინებს. იმათ რომელნიც ლალადებენ ოფიცრების კვლას, იმათ, რომელნიც, თუ არა მუნჯი, არ ეცოდინებათ ინგლისური.

ჩვენ მხოლოდ აზრათ გვქონდა გაგვეზიარებინა ჩვენი მკითხველებისათვის ეს ახალი ნიმუში პარლამენტარულ კრეტინიზმისა.

დამშვიდდით, ინტერნაციონალური ანარქიზმი დასცინის ყველა იმ შეფერხებას, რომლითაც საწყალნი, შემქნელნი კანონებისა, ფიქრობენ თითქმის ყველგან, წინააღუდგენ ანარქიზმის გაძლიერებას.

—

**გაფიცვა რესტორანის მოსამსახურეებისა.**

„North American Union“-ის იუბილეის გამო იყო გამართული ბანკეტი 1500 სულისათვის. ამ რესტორანის მოსამსახურებმა 80 კაცამდე უარი სთქვეს სამსახურზე და მოსთხოვეს პატრონებს ჩიკაგოს კონვენციის დაპირებისამებრ, ფასის მომატება.

სხვათა შორის ამ სადილზე იყო დაპატიჟებული წარჩინებული პირი გენერალ-გუბერნატორი შერმანი. ამიტომ უფრო მოსამსახურეებმა მოითხოვეს ერთი ღამის ფასი 12 შილლინგი 8 შილლინგის მაგივრად.

სტუმრების გასართობად უკრავდა მუსიკა. სანამ, ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, როგორც იყო დააყაბულეს მოსამსახურეები 2 შილლინგის 2 პენსის მომატებით ჩვეულებრივ ფასზე. მხოლოდ ამის შემდეგ მოუტანეს სტუმრებს ვახშამი.

**ბურჟუებს ალაპარაკებდა არა ნამეტანი მათი გრძნობიერი გული, არამედ მათი სტომაქი.**

# დეპეშები

**პეტერბურგი.** „პრავიტელსტვენი ვესტნიკში“ გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანება, რომ ამიერ კასპის მხარეში, გაგრძელდეს ერთი წლის ვადით გაძლიერებული დაცვის წესები.

**ვილნო.** მაცსის სტამბაში ზაგალის ქუჩაზედ, პოლიციამ აღმოაჩინა პროკლამაციების ბეჭდვა. დაჭერილია სტამბის პატრონი. ასოთ ამწყობნი მიიმალნენ.

**პეტერბურგი** „ბირჟევიე-ვედომოსტი“ იუწყება, რომ არჩეული წევრები სახელმწიფო საბჭოსი, ვერნადსკი, ლაპპო დანილევსკი, ბალეი, პერელეშინი და პაშკოვი დეპუტატობას თავს ანებებენ.

**როტსოვი-დონზე.** სადგურ კიზიტერინკაში, სამხრეთ — აღმოსავლეთის რკინის გზაზედ 4 შეიარაღებულმა დეეცნენ საქონლის მატარებელს. დარაჯებმა გაუწიეს წინააღმდეგობა. მძარცველთაგანი ერთი მოკლულია, 2 გაიქცნენ და ერთი კი დაჭრილია.

**განჯა.** შუშაში 12 ივლის მოხდა სომეხ-თათართა შეტაკება. არიან მოკლულნი.

**ვარშავა.** ოლქის სასამართლომ გაამართლა რედაქტორები ლოძინსკი, შტარკმანი და კოჩინსკი.

— 40 პირი დეეცნენ შეიარაღებულნი სახალხო მატარებელს, რომელიც მიდიოდა, ვარშავაში. მოკლულია ჟანდარმის უნტერ-ოფიცერი, რომელიც ყარაულობდა ყუთით ფულს. მოიტაცეს 15,000 მანეთი.

**ორიოლი.** ვოლხოვის მაზრაში, ჟერდევის მამულში, უცნობმა პირებმა ესროლეს ბომბა გენერალ ხიტროვს. აფეთქებისაგან დაზიანდნენ ფანჯრის შუშები. ხალხისაგან არავინ არ დაზიანებულა.

**მიუნხენი.** პრინცს ევგენი მიურატს, რომელიც მიემგზავრებოდა ავტომობილით კარლბადში, უბედურება შეემთხვა რომლისაგანაც გარდაიცვალა.

**ოდესსა.** შეიარაღებულნი დაეცნენ ზაპლუის მაღაზიას. ბოროტმოქმედებმა მოიტაცეს სამოცი მანეთი.

**სერგაჩი.** ცამეტმა თემა უარი განაცხადეს კანდიდატების არჩევნაზედ მიწას—მოსაწყობ კომმისიაში.

**კრემენჩუგი.** კრებები პროფესიონალური კავშირებისა, აკრძალულია.

**მინსკი.** ნოვოგრუდსკის მაზრაში, მუშების გაფიცვის გამო, მემამულეების მამულში ჯერ თივა არ გაუთიბავთ.

**ვარშავა.** ყველა სადგურებზე, საქონლის საწყობს და ხიდებს სდარაჯობენ სამხედრო რაზმები. კოროლევას ქუჩაზე მოკლულია ტყვიით კონტკევიჩი და დაჭრილია შავლოვსკი.

**ყაზანი.** ქალაქში გავრცელებულია წერილები, რომლითაც იწვევენ ხალხს ცეცხლი წაუკიდონ შენობებს.

**ვენა.** რუსეთის რენტამ ფასით ერთი პროცენტით აიწია.

**სიმფეროპოლი.** თავად დოლგორუკოვის მამულში მოხდა აგრარული მოძრაობა. ადმინისტრაციამ აღადგინა წესიერება.

რედაქტორ გამომცემელი

მიხეილ დიასამიძე.

ელექტრონისს სტამბა „გუტენბერგი“, სასახლის ქუჩა, სახლი ქარ. თავ.-აზნაურობისა.